PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “მხატვრული ქსოვა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

წევრები:

თამარ მოსეშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება:ა(ა)იპ კოლეჯი „ პრესტიჟი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2021 წლის 26 მარტის N287704 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ა(ა)იპ კოლეჯი პრესტიჟის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვრული ქსოვა“ დამატების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შესასწავლად გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, შეისწავლა და კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგნლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსები. დისტანციური ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 13 აპრილს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-კოლეჯის ვებ-გვერდი განახლებულია, საიტზე ნავიგაცია მარტივია.
-სააჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ამონაწერი თარიღდება 2019 წლის 1 ივლისით, ამონაწერში მითითებულია ნაკვეთის ფართობი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების ჩამონათვალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1 გაუმჯობესების რეკომენდაცია:
სასურველია „აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისების“ მოდული შესწავლა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდეს „ქსოვილების მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, ჩითვა)“ მოდულის დაწყებას.

სასურველია მოდული „საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისების“ შესწავლა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდეს „საფეიქრო მასალის ღებვა“ მოდულის დაწყებას.

2.2.1.გაუმჯობესების რეკომენდაცია: გაფორმდეს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, სადაც განისაზღვრება მისი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მხატვრული ქსოვა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N01-4/31 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიულ გეგმას, ემყარება დასაბუთებას. დაწესებულებამ პროგრამა შეიმუშავა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი თვითდასაქმების შესაძლებლობის მქონე პროფესიონალი კადრების მომზადების მიზნით. კახეთის რეგიონისთვის დამახასიათებელია გობელინის და ხალიჩის ქსოვა, თექის დამზადება. ქართული ტრადიციული ხელოვნების ნიმუშები დიდ ინტერესს იწვევს როგორც ქართველ მოსახლეობაში, ასევე უცხოელ ტურისტებში, რაც ხელს უწყობს თვითდასაქმების შესაძლებლობას.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ წინაპირობას, პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტების ჩარიცხვა ხდება პროფესიული ტესტირების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, აპლიკანტი ირიცხება კოლეჯის მიერ განსაზღვრული შერჩევის პროცედურის საფუძველზე. დაწესებულებამ წარმოადგინა შერჩევის პროცედურა, სადაც განსაზღვრულია აპლიკანტთა შერჩევის ფორმა და პირობები, აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები.

3.დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც განსაზღვრულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მხატვრული ქსოვა“ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. პროგრამაზე სტუდენტთა

ზღვრული რაოდენობის დათვლისას დაწესებულება ითვალისწინებს საკუთარ რესურსებს (მატერიალური, ფინანსური,

პარტნიორებთან ხელშეკრულებით განსაზღვრული რაოდენობები), ასევე გაზიარებული რესურსების გამოყენებას სხვა პროგრამების მიზნებისათვის.

4. პროგრამით განსაზღვრული რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულებს არ მოიცავს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებასმოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს, მისაღწევ სწავლის შედეგებსა და კვალიფიკაციას, არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს „მხატვრული ქსოვილები“. ადაპტირებული სარეკომენდაციო ჩანაწერები შეესაბამება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს. (კერძოდ, პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით პროფესიული მოდულების სწავლების წინაპირობაა „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდული).

დარგის ექსპერტის შეფასებით არ არის მიზანშეწონილი მოდულების „აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისების“ და „ქსოვილების მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, ჩითვა)“ პარალელურ რეჟიმში სწავლება, ვინაიდან ბატიკის შესწავლის დასაწყებად სტუდენტმა უნდა იცოდეს ესკიზის დამზადება ფერში (სწავლის შედეგი 1. შ.კ.1-2. „ცივი ბატიკის ტექნიკის გათვალისწინებით ასრულებს ესკიზს ფერში; ესკიზის გათვალისწინებით ირჩევს ნამუშევრის მასშტაბს); ასევე მოდულების „საფეიქრო მასალის ღებვა“ და „საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისების“ ერთდრული სწავლება, მნიშვნელოვანია, რომ საფეიქრო მასალების ღებვის პროცესების შესწავლამდე სტუდენტს უნდა ქონდეს წარმოდგენა შესაღები მასალების სახეებსა და თვისებებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ მოდულებს „საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები“ და „საფეიქრო მასალის ღებვა“ ახორციელებს ერთი და იგივე პროფესიული მასწავლებელი და მოდულების პარალელურ რეჟიმში განხორციელებაა დაგეგმილი, პროფესიული მასწავლებელი გაითვალისწინებს „საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისების“ სწავლებისას გავლილ თემატიკას პრაქტიკულ მოდულზე.

გაუმჯობესების რეკომენდაცია:

სასურველია „აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისების“ მოდული შესწავლა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდეს „ქსოვილების მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, ჩითვა)“ მოდულის დაწყებას.

სასურველია მოდული „საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისების“ შესწავლა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდეს „საფეიქრო მასალის ღებვა“ მოდულის დაწყებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- კოლეჯის მისია;
- სტრატეგიული გეგმა;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მხატვრული ქსოვა“ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი;
- პროფესიული პროგრამა;
- პროგრამის დამტკიცების აქტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ქ.თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1-ში, პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 12 პროფესიულ სტუდნეტზე გათვლილი A, B და 2 C ტიპის გარემო.

დაწესებულებას აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A და B გარემო,ხოლო C გარემო ნაწილობრივ აღჭურვილი. <u>დაწესებულებამ წარმოადგინა 6 თვეზე გათვლილი შესაბამისობის გეგმა C ტიპის გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობის შეძენის მიზნით. შესაბამისობის გეგმის დანართ N7-ში მოცემულია მხატვრული ქსოვის პროფესიული პროგრამის C გარემოსთვის შესაძენი აღჭურვილობის ნუსხა, შეძენის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 10 სექტემბერი. ვიზიტის მომენტისთვის დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროცედურები მიმდინარეობს გაწერილი გეგმის შესაბამისად, შესყიდვისთვის თანხა მოთხოვნილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან, შეთანხმებულია პროფესიული განათლების დეპარტამენტთან და თანხის ჩარიცხვისთანავე დაიწყება შემდგომი პროცედურები, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით გეგმით გაწერილ ვადაში შესყიდვის პროცესის განხორციელებას ხელი არ შეეშლება. ვიზიტის მომენტისთვის შესაბამისობის გეგმა ფინანსური რესურსით უზრუნვეყოფილი არ იყო.</u>

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ გამოაგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2021 წლის 18 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საგანია პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამებისთვის (მათ შორის „მხატვრული ქსოვა“) განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის მიზნით ფინანსური ხელშეწყობა, ხელშეკრულებაში განსაზღვრულია კონკრეტული თანხა და დანართის სახით თან ახლავს შესაძენი აღჭურვილობის ნუსხა და რაოდენობები.

კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ თელავის ისტორიულ მუზეუმთან, რომელიც უზრუნველყოფს მხატვრული ქსოვის პროფესიული სტუდენტებისთვის „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიების ხელშეწყობას, ერთ ნაკადზე არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისთვის.
ვიზიტისას დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა მცირე მეწარმე ლილი მურთაზაშვილსა და შპს თუშეთთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს თითო ნაკადზე სასწავლო ექსკურსიების მოწყობას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მხატვრული ქსოვა“ 15 პრფესიული სტუდენტისთვის.
კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდება,რომ <u>შესაბამისობის გეგმის განხორციელების შემთხვევაში,</u> კოლეჯი შეძლებს უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა 24 პროფესიული სტუდენტისთვის.
2.პროფესიულ პროგრამას ჰყავს 24 განმახორციელებელი პირი, მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნვეყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
3.პროგამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს სწავლის შედეგის გამომუშავების და შეფასების კონპეტენცია. მათ ნაწილს აქვს მოდულური პროგრამების განხორციელების გამოცდილებაც, ზოგიერთ მათგანს მონაწილეობა აქვს მიღებული მოდულების შემუშავებაში. მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ორგანიზებული ტრენინგები.
4.პროგრამას განსაზღვრული ყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დარგობრივი კომპეტენცია. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სადაც ჯგუფის შემადგენლობაში ერთ-ერთი წევრის სტატუსად განსაზღვრულია დარგის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომელიც ასევე პროგრამაშიც არის მითითებული პროგრამის ხელმძღვანელად, თუმცა ხელმძღვანელად დანიშვნის აქტი ან მასთან, როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ყოფილა წარმოდგენილი.

გაუმჯობესების რეკომენდაცია: გაფორმდეს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, სადაც განისაზღვრება მისი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. პროგრამის მოდულის „ყაისნაყითა და ჩხირებით ქსივა“ თანდართულ ჩანაწერში არასრულყოფილადაა მითითებული სასწავლო რესურსი „ხელსაქმის ისტორია საქართველოში“ (არაა მითითებული ბიბლიოგრაფიული მონაცემები: ავტორი, გამოცემის წელი, მოცულობა, რესურსის სახე ან ელექტრონული ინეტრენეტ მისამართი). თუმცა, ბიბლიოთეკაში აქვთ აღნიშნული ლიტერტურა დისკზე ჩანაწერის სახით.

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით კოლეჯს განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. კერძოდ: საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში მათი სრულყოფილი ინტეგრირების მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილების მხარდამჭერი, სპეციალური მომვლელი) მოძიებას და საგანმანთლებლო პროცესში ჩართვას; ასევე დამხმარე ტექნიკის ან პროგრამული უზრუნველყოფის (მაგ: სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის, CCTV აპარატი და ა.შ.) შეძენას ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დასაბუთების საფუძველზე.

7. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის ანაზღაურება, დიპლომების ბეჭდვის ხარჯი, სასწავლო მასალები და ადმინისტრირების ხარჯები. ბიუჯეტში განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი - 8 პროფესიული სტუდენტი. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესაბამისობის გეგმა;
- სასაქონლო ზედნადებები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან, კოლეჯის ადმინისტრაციასთან;
- პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება და მემორანდუმები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია მოიცავს პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლებლის მასწავლებლების და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმებს, ასევე საკონტაქტო საათზე და შეფასებაზე დასწრების ფორმებს.

მეთოდოლოგია ეფუძნება დემინგის ციკლს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამაში ცვლილების განხორციელება ან/და ჩარჩო დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება.

2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

რეგულაცია ასევე ითვალისწინებს პროგრამის გაუქმების პირობებსა და პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, დაცულია სწავლის წინაპირებები.

2.სასწავლო პროცესის ორგანიზებისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. პროფესიულ სტუდენტთა კვირეული სასწავლო დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში შედგენს 25-30 საათს.

3.პროგრამის სწავლებისას განსაზღვრულია სწავლების შემდეგი თანამედროვე მეთოდები დემონსტრირება, დისკუსია, პრაქტიკული დავალება, შემთხვევის შესწავლა, როლური თამაში, ვიდეო რგოლის ჩვენება და სხვა. პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად ძირითადად გამოყენებულია მასწავლებლის მიერ პრაქტიკული უნარების დემონსტრირება და შემდეგ პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული სამუშაოს შესრულება.

4.პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე თუ პირს შეჩერებული ჰქონდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას ან პირი დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

5. კოლეჯს პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება,სადაც განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სტუდენტა რაოდენობა, მოქმედების ვადა და სხვა პირობები. მემორანდუმში/ხელშეკრულებაში ნათლადაა გაწერილი, თუ პროგრამის მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ რა კომპონენტზე (მათ შორის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა) ვინ იღებს პასუხისმგებლობას.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების ნორმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მხატვრული ქსოვა“, ინსტრუქციაში გაწერილია თუ როგორ უნდა მოიქცეს პროფესიული სტუდენტი მუშაობის/სწავლის დაწყებამდე, როგორ მოახდინოს სამუშაოს ორგანიზება, რა უნდა გააკეთოს სამუშაო დასრულების შემდეგ და როგორ იმოქმედოს ავარიული სიტუაციისას.

დაწესებულების სამუშაო (სიმულაციურ) გარემოში დაცულია უსაფრთხოების წესები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით . (კერძოდ, მოდულების „საფეიქრო მასალების ღებვა“ და ქსოვილების მხატვრული მოხატვა“ C გარემოში ჩატარებისას).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამით და მისი დანართებით;
- ინტერვიურებით;
- ხელშეკრულებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შრომის უსაფრთხოების ნორმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა :მხატვრული ქსოვა
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის,შემუშავების და ვალიდაციის პროცედურა და შეფასების პრინციპები. რეგულაციაში განსაზღვრულია თუ რა მიიჩნევა ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან და ობიექტურ შეფასებად.

2.შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის მექანიზმში განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, დარგის და განათლების ვერიფიკატორების ფუნქციების, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების შეფასების კრიტერიუმები, ვერიფიკაციისთვის ნამუშევრების შერჩევის კრიტერიუმები.

3. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების უწყისის შევსებიდან 3 წლის ვადით შენახვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა სათანადო წესით აღრიცხვასა და შენახვაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.

4.შეფასების სისტემა ითვალისწინებს განმავითარებელი შეფასების კომპონენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;
- გასაუბრება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

25.05.21

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: